

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებელი“  
აცხადებს კონკურსს თანამშრომლების საზღვარგარეთ მგზავრობისათვის  
ავიაბილეთების შესყიდვისა და სასტუმროთი უზრუნველყოფის  
მომსახურებაზე.**

**საკონკურსო მოთხოვნები და ტექნიკური პირობები**

მომსახურების გაწევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

1. დაბალფასიანი ავია ბილეთების (ეკონომიური-კლასი თუ სხვაგვარი მოთხოვნა არ არსებობს, რომელიც უნდა მოიცავდეს აეროპორტის მიმდინარე მოსაკრებლებსაც) შეძენის შესაძლებლობა.
  2. მგზავრობასთან დაკავშირებით მოკლე ვადაში (მაქსიმალურად ოპერატიულად) არსებული სხვადასხვა მარშრუტების ვარიანტების შეთავაზების შესაძლებლობა;
  3. ყველაზე მოხერხებული მარშრუტის შერჩევა და მუდმივად საკონტაქტო პირის არსებობა (ყველა შეკვეთა, დაჯავშნა, ბილეთების შეძენა, პრობლემათა გადაჭრა და ანგარიშსება ყოველდღიურად უნდა წარიმართოს დანიშნული საკონტაქტო პირის მიერ ან მისი არყოფნის შემთხვევაში წინასწარ დასახელებული შემცვლელის მიერ 24 საათის განმავლობაში);
  4. საჭიროების შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებულმა უფასოდ უნდა უზრუნველყოს მგზავრობისათვის ავიაბილეთების, სასტუმროს ვაუჩერების და სხვა სამოგზაურო დოკუმენტების ადგილზე მიწოდება (მათ შორის თბილისისა და ბათუმის აეროპორტებში);
  5. მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში PTA (გადახდა წარმოებს საქართველოში და მოგზაურება იწყება სხვა ქვეყნიდან, მგზავრი ბილეთს აიღებს ადგილზე გამოფრენის წინ);
  6. მაქსიმალურად ხარისხიანი სასტუმროს დაჯავშნა (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში).
- ნებისმიერი შეკვეთა უნდა განხორციელდეს დამკვეთთან შეთანხმებით.
  - ანგარიშწორებას დამკვეთი განახორციელებს ყოველი თვის 15 და 30 რიცხვებში, წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე (ანგარიშსწორება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს სხვა რიცხვებშიც თუ გადასახდელი თანხა ინვოისის საფუძველზე შეადგენს ან აღემატება 30 000 ლარს);

**საკონკურსო ვადები:**

- საკონკურსო წინადადებების მიღება იწარმოებს 2013 წლის 23 იანვრის 10:00 საათიდან 2013 წლის 28 იანვრის 15:00 საათამდე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კანცელარიაში, მის: ქ. თბილისი კოსტავას ქ. №68; საკონკურსო შემოთავაზება წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქულ კონვერტში. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები არ მიიღება;
- საკონკურსო წინადადებები გაიხსნება: 2013 წლის 28 იანვარს 15:00 საათზე;

- კონკურსის შედეგების გამოცხადება მოხდება სავარაუდოდ 2013 წლის 29 იანვარს;

**მომსახურების გაწევის ვადა:** 1 (ერთი) წელი (ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია ვადის გაგრძელება).

**საკონკურსო წინადადებაში მითითებული უნდა იყოს, შემდეგი სახის ინფორმაცია: (საკონკურსო წინადადებები უნდა შეიცავდეს):**

1. ფასდაკლებები ავიაბილეთების შეძენისას;
2. დამატებით შემოთავაზებები;
3. ანგარიშწორების პირობები;
4. ინფორმაცია კომპანიის გამოცდილების შესახებ;
5. კონკურსანტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის/ფაქსი/ ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი.

**საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე პირთა განცხადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტის გათვალისწინებით.**

1. ფასდაკლებები ავიაბილეთების შეძენზე და დამატებითი შემოთავაზებები - **0,7**
2. კომპანიის გამოცდილება – **0,3**

ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან 2 დღის ვადაში.